ევროკავშირი
საქართველოსთვის

EU4Culture

კულტურის სფეროს განვითარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში

საინფორმაციო სესია: მობილობის საგრანტო სქემა, 23.02.2023

მოდერატორი: რუსუდან ებრალიძე - პროექტის „EU4Culture“ რეგიონული მობილობის მენეჯერი

GOETHE INSTITUT
ČESKÁ CENTRA
CZECH CENTRES
DANSK KULTUR-INSTITUT
DANISH CULTURAL INSTITUTE
INSTITUT FRANÇAIS
Géorgie

შეხვედრის თემები:

- შესავალი
- ზოგადი ინფორმაცია საგრანტო სქემაზე
- როგორ მოვძებნოთ მობილობის შესაძლებლობა? ზოგადი რჩევები
- მოწვეული სტუმარი
- ტექნიკური გზამკვლევი - როგორ შევავსოთ სააპლიკაციო ფორმა?
- **FAQ** - ხშირად დასმული კითხვები
- კითხვა-პასუხის სესია

პროექტის შესახებ

EU4Culture ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტია, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანაში კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის მხარდასაჭერად ხორციელდება.

პროექტის ბიუჯეტი:
€ 7,850,000

პროექტის ხანგრძლივობა:
2021 - 2024

პროექტს ახორციელებენ:

GOETHE INSTITUT
ČESKÁ CENTRA
CZECH CENTRES
DANSK KULTUR-INSTITUT
DANISH CULTURAL INSTITUTE
INSTITUT FRANÇAIS
Géorgie

პროექტის აქტივობები

ეხმარება რეგიონალურ ქალაქებს შეიმუშაონ და განახორციელონ **კულტურის განვითარების სტრატეგიები**.

გასცემს გრანტებს **კულტურული და ინოვაციური პროექტების, ასევე ფესტივალების** მხარდასაჭერად.

ახორციელებს **მობილობის კონკურსს** ხელოვანებისა და კულტურის პროფესიონალებისთვის

მხარს უჭერს **რეგიონალურ და საერთაშორისო** თანამშრომლობის გაძლიერებას.

ეხმარება ქალაქების წარმომადგენლებს **უნარების** გაძლიერებით კულტურის განვითარების სტრატეგიის განხორციელებაში.

კულტურის განვითარების სტრატეგიები

14 ქალაქმა 5 ქვეყნიდან მიიღეს ფინანსური მხარდაჭერა 30 000 ევროს ოდენობით სტრატეგიების შესამუშავებლად.

6 ქალაქმა მიიღო გრანტი **300 000 ევროს** ოდენობით სტრატეგიების განსახორციელებლად.

იჯევანი
სომხეთი

ლანკარანი
აზერბაიჯანი

ზუგდიდი
საქართველო

კაჰული
მოლდოვა

რივნე & ვინიცა
უკრაინა

ფაქტები მობილობის შესახებ

არსებული ბენეფიციარების რაოდენობა: **155**

ყველაზე მოთხოვნადი დანიშნულების ქვეყანა: **გერმანია**

ყველაზე მოთხოვნადი მობილობის ხანგრძლივობა: **მოკლევადიანი მობილობა**

ყველაზე მოთხოვნადი სექტორი: **მუსიკა, საშემსრულებლო და ვიზუალური ხელოვნება**

2024 წლის დასრულებამდე გამოცხადდება კიდევ 2 ღია კონკურსი
(ივნისი 2023; დეკემბერი 2023)

ინფორმაცია
საგრანტო სქემაზე

მობილობის საგრანტო სქემის მესამე ღია კონკურსი

ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება?

ხელოვანებს და კულტურის პროფესიონალებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან: **აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა და ბელარუსი.**



მობილობის ხანგრძლივობა

მოკლევადიანი (5-10 კალენდარული დღე) – **1500 €-მდე**
საშუალოვადიანი (11-35 კალენდარული დღე) - **3500 €-მდე**
გრძელვადიანი (36-84 კალენდარული დღე) - **5000 €-მდე**
ვირტუალური მობილობა - **1000 €-მდე**

კონკურსი ღიაა:

- სტაჟირებისთვის
- სასწავლო ვიზიტებისთვის (პროფესიული კურსები)
- კონფერენციებში მონაწილოებისთვის (ონლაინ/ოფლაინ)
- პროფესიული განვითარებისთვის
- და სხვა აქტივობებისთვის, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის გაცვლას და კულტურათაშორის დიალოგს.

განცხადებების მიღების ბოლო ვადა

27 მარტი, 2023 15:00 (ცენტრალური ევროპის დროით)

ვის შეუძლია მონაწილეობა?

- განმცხადებელი უნდა იყოს აპლიკაციის შევსების დღეს **18 ან მეტი წლის**
- უნდა იყოს ამჟამად კანონიერი **მუდმივი რეზიდენტები** აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ-ერთ შემდეგ ქვეყანაში: სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვის რესპუბლიკა, უკრაინა
- და უნდა იყოს **ხელოვანი ან კულტურის პროფესიონალი.**

თემები და სექტორები

კულტურისა და შემოქმედებითი სექტორების საორიენტაციო და არასრული ჩამონათვალი:



აქტივობის ტიპები

ახალი პარტნიორობის დამყარება ან არსებული საერთაშორისო პარტნიორობის, ქსელის გაძლიერება

სფეროზე ორიენტირებული სტაჟირება, გამოფენები, სემინარები, მასტერკლასები,

სასწავლო ვიზიტები (ონლაინ/ოფლაინ)

მონაწილეობა შესაბამის კონფერენციებში, ფესტივალებში ან სხვა ქსელურ ღონისძიებებში (ონლაინ/ოფლაინ)

ინკლუზიური თანამშრომლობის შესაძლებლობებისა და ინიციატივების განვითარება ციფრული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სწავლების საფუძველზე

სასწავლო ვიზიტები მიმართულიკულტურისა და შემოქმედებითი ინდსუტრიების განვითარებაზე

სხვა აქტივობები, რომლებიც ტარდება სხვა ქვეყანაში და ხელს უწყობს ცოდნის გაცვლას და კულტურათაშორის დიალოგს

მობილობის ტიპები

მოკლევადიანი მობილობა

- **5-10 კალენდარული დღე მგზავრობის დღეების ჩათვლით**
- მაქსიმუმ **1500 ევრო**
- **ერთი** დანიშნულების ქვეყანა

საშუალოვადიანი მობილობა

- **11-35 კალენდარული დღე მგზავრობის დღეების ჩათვლით**
- მაქსიმუმ **3500 ევრო**
- **ერთი** დანიშნულების ქვეყანა

გრძელვადიანი მობილობა

- **36-84 კალენდარული დღე მგზავრობის დღეების ჩათვლით**
- მაქსიმუმ **5,000 ევრო**
- რამდენიმე დანიშნულების ქვეყანა **(მაქსიმუმ 3)**

ვირტუალური მობილობა

- ონლაინ მონაწილეობა ღონისძიებაში, რომელიც ტარდება სხვა ქვეყანაში
- მაქსიმუმ **1,000 ევრო**
- ფარავს მხოლოდ მონაწილეობის საფასურს

დანიშნულების ქვეყნები

სომხეთი
აზერბაიჯანი
ბელარუსი
უკრაინა
მოლდოვა

ავსტრია
ბელგია
ბულგარეთი
ხორვატია
ჩეხეთის რესპუბლიკა
კვიპროსი
დანია
ესტონეთი
ფინეთი
საფრანგეთი
გერმანია
საბერძნეთი
უნგრეთი
ირლანდია
იტალია
ლატვია
ლიეტუვა
ლუქსემბურგი
მალტა
ნიდერლანდები
იპოლონეთი
პორტუგალია
რუმინეთი
სლოვენია
სლოვაკეთი
ესპანეთი
შვედეთი
ისლანდია
ლიხტენშტეინი
ნორვეგია
შვეიცარია
გაერთიანებული სამეფო
ალბანეთი
ბოსნია და ჰერცეგოვინა
კოსოვო*
მონტენეგრო
ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკა
სერბეთი
თურქეთი

ბიუჯეტი

✔ ხარჯი #1: მოგზაურობა

- 10-დან 99 კმ-მდე მგზავრობის მანძილზე: 20 ევრო
- 100-დან 499 კმ-მდე მგზავრობის მანძილზე: 180 ევრო
- 500-დან 1999 კმ-მდე მგზავრობის მანძილზე: 275 ევრო
- 2000-დან 2999 კმ-მდე მგზავრობის მანძილზე: 360 ევრო
- 3000-დან 3999 კმ-მდე: 530 ევრო

✔ ხარჯი #2: საცხოვრებელი

კვების, განთავსების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხარჯები

მობილურობა გრძელდება 5-დან 10 დღემდე: **120 ევრო დღეში**

მობილურობა გრძელდება 11-დან 35 დღემდე: **70 ევრო დღეში**

მობილურობა გრძელდება 36 დღემდე და 12 კვირამდე: **50 ევრო დღეში**

✔ ხარჯი #3: რეგისტრაცია

- კონფერენციების, სემინარების ან ფორუმების საფასური (ოფლაინ/ონლაინ) მაქსიმუმ **1000 ევრო**

✔ ხარჯი #4: <u>სპეციალური საჭიროებები</u>

- დამატებითი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან სხვა სპეციალური საჭიროებების მქონე მობილურობასთან

ხარჯი #5: <u>ვიზის მოსაკრებელი</u>

ვიზის საფასური

ხარჯი #6: <u>სამედიცინო დაზღვევა</u>

სამედიცინო დაზღვევა, რომელიც მოიცავს დანიშნულების ქვეყანაში მოგზაურობას

ხარჯი #7: <u>COVID-19 ტესტი</u>

COVID-19 PCR ტესტები, რომლებიც აუცილებელია მოგზაურობისათვის

erasmus+ მანძილის კალკულატორი
<u>https://erasmus-plus.ec.europa.eu/resources-and-tools/distance-</u>

მაგალითი

საშუალოვადიანი
მობილობის
მგზავრობა
თბილისიდან რომში
20 დღით



- მანძილი თბილისი-რომი **2663.32 კმ**
- მგზავრობის მანძილი 2000-დან 2999 კმ-მდე
- ნებადართული ერთჯერადი თანხა ამ ტურისთვის ამ შემთხვევაში იქნება **360 ევრო**
- არ აქვს მნიშვნელობა თვითმფრინავით, მატარებლით, მანქანით თუ სხვა ტრანსპორტით მოგზაურობთ, ერთიანად მიიღებთ 360 ევროს

პერდიემის სახით მიიღებთ **70 ევროს დღეში**
სულ 70x20=1400 ევრო +360 ევრო
მგზავრობისთვის
სულ 1760 ევრო

შერჩევის კრიტერიუმები

დამაჯერებლობა და განხორციელებადობა

1

35%

1. რამდენად რეალურია შემოთავაზებული მობილობის პროგრამა?
2. რამდენად გასაგები და რეალურია შეთავაზებული მობილობის განხორციელების დრო?
3. არის თუ არა შემოთავაზებული ბიუჯეტი ზუსტი, დამაჯერებელი და განხორციელებადი?

მდგრადობა

3

25 %

რამდენად დასაბუთებულია აპლიკანტის გეგმები მობილობის პროექტის დასრულების შემდეგ მიღებული გამოცდილების/შედეგების გამოყენების შესახებ?



შედეგები

2

25 %

რამდენად ნათელია მობილობის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები?

მოტივაცია

4

15 %

1. განმცხადებლის პირადი და პროფესიული მოტივაცია
2. რამდენად მკაფიოა განმცხადებლის პირადი მოტივაცია მობილობის პროექტის დასრულების შემდეგ მიღებული გამოცდილება გაუზიაროს სხვებს?

განრიგი და განხორციელება

#1

30 იანვარი 2023

კონკურსის
გამოცხადების
თარიღი

#2

27 მარტი 2023

15:00 საათი
(ცენტრალური
ევროპის დრო)
განაცხადების
გაგზავნის
საბოლოო დრო

#3

1 ივნისი 2023

მობილობის
პროექტის
დაწყების
უახლოესი
თარიღი

#4

31 მაისი 2024

მობილობის
პროექტის
დასრულების
უგვიანესი თარიღი

როგორ მოვიძიოთ საერთაშორისო პარტნიორები?

ზოგადი რჩევები

როგორ მოვიძიოთ საერთაშორისო პარტნიორები?

პროცესის ზოგადი აღწერა

ნაბიჯი 1. აირჩიეთ თქვენი პროფესიული მოღვაწეობის სექტორი.

ნაბიჯი 2. განსაზღვრეთ თქვენი მობილობის საბოლოო მიზანი - რა ახალი უნარებისა და ცოდნის მიღებას აპირებთ/გსურთ?

ნაბიჯი 3. გადახედეთ თქვენს პროფესიონალურ ქსელებს და კავშირებს შესაძლო მასპინძელი ორგანიზაციებისთვის/კონფერენციებისთვის და ა.შ

ნაბიჯი 4. შეამოწმეთ არსებული შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა.

Step 5. გადახედეთ კულტურული შესაძლებლობების აგრეგატორებს. (e.g. www.resartis.org)

ნაბიჯი 6. დაუკავშირდით ორგანიზაციას და გაუგზავნეთ თქვენი პროფესიული რეზიუმე და პროექტის გეგმა.

ნაბიჯი 7. მასპინძელი ორგანიზაციიდან დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, შეთანხმდით თქვენი მობილობის პროექტის დეტალებზე.

ნაბიჯი 8. მოითხოვეთ მოწვევის წერილი ხელმოწერით და/ან ბეჭდით.

ნაბიჯი 9. გააკეთეთ განაცხადი EU4Culture გრანტის მოსაპოვებლად.

ზოგადი რჩევები

რჩევა #1: თვალი ადევნეთ რეზიდენციების მსოფლიო ქსელს და ონლაინ მონაცემთა ბაზებს

www.resartis.org

Res Artis - 28-წლიანი ქსელი მთელი მსოფლიოდან, რომელიც მიზნად ისახავს რეზიდენციების მხარდაჭერას და დაკავშირებას, ქსელების განვითარებას და გაფართოებას, დღევანდელ საზოგადოებაში რეზიდენციების მნიშვნელობის ჩართვას და ადვოკატირებას, რეკომენდაციების მიწოდებას კულტურული მობილობის კვლევისა და პოლიტიკის მიმართ.

www.e-artnow.org

e-artnow - ელექტრონული საინფორმაციო სერვისი, რომელიც ავრცელებს ელექტრონულ განცხადებებს, თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებაზე

https://www.transartists.org

რეგიონალური Artist-in-Residence პლატფორმა

https://culture360.asef.org

Artist Communities Alliance - მხარს უჭერს ადამიანებს, რომლებიც მართავენ ამ სფეროს - ადმინისტრატორებს, ხელოვანებს, კულტურის პროფესიონალებს, მხატვრებს, მოხალისეებს

www.artistcommunities.org

Culture360 - ხელს უწყობს თანამშრომლობას აზიისა და ევროპის ინსტიტუტებს შორის

GENERAL TIPS & ADVICE

რჩევა #2: შეუერთდით ფეისბუქის ჯგუფებს / მიჰყევით გვერდებს, რომლებიც რეგულარულად აქვეყნებენ ახალ შესაძლებლობებს

<u>ჯგუფები/გვერდები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგი სახელებით:</u>

- Culture Agora
- Le club des opportunités
- Open calls / Resodences / Opportunities for artists
- Arts Jobs, Open Calls, Residencies & #ArtistOpportunities #VisualArts
- Art Opportunities, Jobs, and Advice
- Call for Curators
- Artsy
- Art People Gallery

ზოგადი რჩევები

Tip #4: მოაწესრიგეთ თქვენი ციფრული პორტფოლიო | გახადეთ ის უფრო მეტად ფოკუსირებული თქვენს პროფესიულ საქმიანობაზე

მოწვეული სტუმარი

გიორგი სპანდერაშვილი

განაცხადის მომზადება - ტექნიკური ნაწილი

GAP პორტალი

როგორ მოვამზადოთ განაცხადი?

1. ეწვიეთ ვებგვერდს gap-online.goethe.de
2. შექმენით ახალი ანგარიში
3. მიიღეთ დადასტურების ელფოსტა
4. დააწკაპუნეთ ბმულზე თქვენს ელფოსტაში და გააქტიურეთ ანგარიში
5. თუ არ მიიღებთ დადასტურების ელფოსტას, გთხოვთ დაუკავშირდეთ ტექნიკურ მხარდაჭერას: support.gap@goethe.de
6. განაცხადის მისაღებად თქვენ უნდა გქონდეთ მოქმედი ანგარიში
7. განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ინგლისურ ენაზე



https://gap-online.goethe.de/en-US/

თუ პორტალზე ახლა რეგისტრირდებით, მონიშნეთ ინდივიდუალური პერსონა და არა ორგანიზაცია



1. ამ სიიდან აირჩიეთ EU4Culture





თქვენ გადამისამართდებით EU4Culture მობილობის სქემის განაცხადის ოფიციალურ გვერდზე

რჩევები განაცხადის ფორმის შევსებისას

დააწკაპუნეთ next, როგორც კი დაიწყებთ თქვენს აპლიკაციას



თითოეული განყოფილების შევსების შემდეგ დააწკაპუნეთ **save & next** , წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ ვერ შეძლებთ თქვენი განაცხადის დასრულებას

მონიშნეთ ყველა პუნქტი **Declaration of Honour**

რჩევები განაცხადის ფორმის შევსებისას



განაცხადის გაგზავნამდე დარწმუნდით, რომ ყველა განყოფილება შემოწმებულია, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ ვერ შეძლებთ თქვენი განაცხადის დასრულებას

FAQ

ხშირად დასმული კითხვები

FAQ

1. შესაძლებელია თუ არა ჯგუფური განაცხადების შევსება?

არა ☹ მხოლოდ ინდივიდუალური მობილობის პროექტებია დაშვებული.

2. არის თუ არა შესაძლებელი მობილობა განვახორციელო იმ ქვეყანაში, სადაც ვცხოვრობ?

არა ☹ მობილობები ქვეყნის შიგნით არ არის დაშვებული.

3. ვცხოვრობ ქვეყანაში, რომელიც მონაწილეობს EU4Culture მობილობის პროგრამაში, მაგრამ არ მაქვს ამ ქვეყნის მოქალაქეობა. შემიძლია თუ არა მონაწილოების მიღება?

დიახ. თუ თქვენ ლეგალურად ცხოვრობთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ-ერთ ქვეყანაში, შეგიძლიათ გააკეთოთ განაცხადი. თუმცა, გახსოვდეთ, რომ ამ შემთხვევაში მოგიწევთ ბინადრობის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენა. (მაგ. დროებითი პირადობის მოწმობა)

4. არის თუ არა ასაკობრივი შეზღუდვა?

დიახ, განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 18 ან მეტი წლის ინდივიდებს.

5. მე უკვე მივიღე EU4Culture მობილობის გრანტი. შემიძლია თუ არა კიდევ ერთხელ გავაკეთო განაცხადი?

არა.

6. რა არის მობილობის პროექტის დაწყების უახლოესი თარიღი?

2023 წლის 1ლი ივნისი.

7. მაქსიმუმ როდის შემიძლია დავასრულო ჩემი მობილობის პროექტი?

2024 წლის 31 მაისს.

8. შემიძლია თუ არა წავიდე რამდენიმე დანიშნულების ქვეყანაში?

დიახ, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აპირებ გრძელვადიანი მობილობის განხორციელებას. (36-84 დღე)

9. შემიძლია დავყო ჩემი მობილობის პროექტი რამდენიმე ნაწილად?

არა. მობილურობა უნდა იყოს უწყვეტი.

10. რა მოხდება, თუ მე მივიღებ სხვა გრანტს/თანადაფინანსებას იმავე მობილობის პროექტის სხვა ხარჯებისთვის?

თქვენ უნდა შეგვატყობინოთ და გამოაკლოთ ეს ხარჯები ჩვენ მიერ დაფარულ ხარჯებს, რათა თავიდან აიცილოთ ორმაგი დაფინანსება ერთი და იგივე ქმედებისთვის.

FAQ

11. განაცხადის გარდა რა საბუთებია წარმოსადგენი?

ოფიციალური მოწვევის წერილი (ხელმოწერითა და ბეჭდით), ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ ან სხვა საბუთი, რომელიც ადასტურებს თქვენი გამგზავრების მიზნებს და ასევე პროფესიული რეზიუმე.

12. შემიძლია გამოგიგზავნოთ მოწვევის წერილი პოლონური ორგანიზაციიდან პოლონურ ენაზე?

არა, ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ განიხილება.

13. რა მოხდება, თუ შემოვიტანე რამდენიმე განაცხადი?

ამის გაკეთება შესალებელია, თუმცა განიხილება მხოლოდ ბოლოს წარდგენილი განაცხადი.

14. რა ვალუტაში ხდება თანხის ჩარიცხვა?

ევროში

15. შესაძლებელია თუ არა გრანტის მესამე პირის ანგარიშზე გადარიცხვა?

დიახ, თუ ამას რაიმე განსაკუთრებული მიზეზი და დასაბუთება აქვს. მაგ: მასპინძელ ორგანიზაციას ან ნებისმიერ მესამე მხარეს, რომელსაც განმცხადებელი აძლევს მინდობილობას.

16. როდის მივიღებ თანხას?

პირველი ნაწილი (75%) გადაირიცხება კონტრაქტის გაფორმებიდან 2 კვირის განმავლობაში. მეორე ნაწილი – საბოლოო ფინანსური და ნარატიული ანგარიშების დადასტურების შემდეგ 2 კვირის განმავლობაში.

17. შესაძლებელია თუ არა გრანტის 100%-ის მიღება ერთ გადახდაზე?

არა ☹

18. ვიღებ თუ არა დამატებით ფულს გადასახადებისთვის, რომელიც პირდაპირ ჩემს მობილობის პროექტთან არის დაკავშირებული?

არა. თქვენ პასუხისმგებელი ხართ გადაიხადოთ ყველა საჭირო გადასახადი, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული მობილობის გრანტთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

FAQ

19. შესაძლებელია თუ არა დაფინანსების მოთოხვნა მასალებისთვის, რომელიც მობილობის პროექტის განსახორციელებლად მჭირდება? (მაგ. წიგნების დაბეჭდვა, საოფისე მასალა და ა.შ)

არა, ასეთი პოზიცია ბიუჯეტში არ არსებობს. დაფინანსება შესაძლებელია მხოლოდ იმ ხარჯების, რაც ბიუჯეტის მიხედვით არის განსაზღვრული.

20. რა მოხდება, თუ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ჩემს თავდაპირველ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა იქნება?

თქვენ დაუყოვნებლივ უნდა მოგვწეროთ აღნიშნული ცვლილების საჭიროების შესახებ. თქვენ ასევე დაგჭირდებათ ცვლილებების საჭიროების სათანადო დასაბუთება. ჩვენ განვიხილავთ თქვენს მოთხოვნას და პასუხს ოფიციალურად მიიღებთ.

21. რა მოხდება, თუ ჩემი დაგეგმილი მარშრუტი ან ჩემი მობილობის პროექტის დღეების რაოდენობა საჭიროებს შეცვლას?

თქვენ უნდა შეგვატყობინოთ ამის შესახებ მობილობის პროექტის დაწყებამდე და თუ პროექტი ამას დათანხმდება, მოხდება ცვლილებები თქვენს ხელშეკრულებაში.

22. რა დამადასტურებელი საბუთები უნდა შევინახო საბოლოო ფინანსური ანგარიშგებისთვის?

ჩასხდომის ბარათები, მატარებლის ბილეთები, პასპორტის ბეჭდები, ავტობუსის ბილეთები. სასტუმროს რეზერვაციები, ეარბიენბის რეზერვაცია. სარეგისტრაციო ხარჯები, დაზღვევა, კოვიდ-19 თან დაკავსირებული ხარჯები - ინვოისები, ბანკის გადარიცხვები. თუ თანხა გადახდილია ქეშად, მაშინ გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

23. შესაძლებელია თუ არა რომ არ დავბრუნდე დანიშნულების ქვეყნიდან უკან გამგზავრების ქვეყანაში?

არა. თქვენი მობილობა უნდა განხორციელდეს საწყისი წერტილიდან დანიშნულების პუნქტამდე და უკან. ფინანსური ანგარიშგების ეტაპზე მოთხოვნილი იქნება შესაბამისი დოკუმენტაცია და მხოლოდ ამის შემდეგ გადაირიცხება გრანტის 25%. თუმცა, თუ დანიშნულების ქვეყანაში უფრო დიდხანს გადაწყვეტთ დარჩენას, ეს ხარჯები თქვენ მიერ უნდა იყოს დაფარული.

24. რა მოხდება, თუ ვერ შევძლებ მობილობის პროექტის განხორციელებას?

თქვენ უნდა მოგვწეროთ დასაბუთებული ახსნა-განმარტება რატომ ვერ ხერხდება პროექტის განხორციელება და უკვე მიღებული გრანტის ნაწილი უკან გადმორიცხოთ ხელშეკრულებაში მითითებულ ანგარიშზე. ყველა საკომისიო ფულად გადარიცხვებთან დაკავშირებით გეკისრებათ თქვენ.

ევროკავშირი
საქართველოსთვის

თქვენი უკუკავშირი ჩვენთვის მნიშვნელოვანია

გმადლობთ ყურადღებისთვის

Disclaimer

ეს პრეზენტაცია მომზადებულია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია გოეთეს ინსტიტუტი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.